პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

48 (1043)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## წვევამდელო! მზადების დამთავრების შემდეგაც განაგრძე მუშაობა.

დღეს ჩვენი ნაწილები დაამთავრებენ წვევამდე მზადებას, რომელიც დაწყებული იქნა 19 თებერვალს.

უნდა აღინიშნოს რომ, 1905 წელში დაბადებულ-წვევამდელთა ეს უკანასკნელი მზადება, უფრო გეგმიანი და ნაყოფიერია, ვინემ წარსულში გატარებული. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მზადების დრო იყო ძლიერ ხანმოკლე. მაგრამ ყოველივე ის, რაც გაკეთდა ამ ორი კვირის განმავლობაში, მაჩვენებელია იმისა, რომ მომავალში წვევამდელთა მეცადინეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ამით მივაღწევთ ჩვენს საბოლოო მიზანს ამ დარგში; კარგათ მომზადებული მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობა მომავალში გახდება ღირსეული წითელ არმიელი, და ამით წინ წასწევს და აამაღლებს წითელი არმიის მომზადებასა და ბრძოლის-უნარიანობის განმტკიცების საქმეს.

როგორც ვსთქვით მზადება უკვე დღეს დამთავრდება, ჩატარდება გატარებულ მუშაობის შემოწმება და წვევამდელები დაუბრუნდებიან თავიანთ სამუშაოს.

როგორი უნდა იქნეს ამის შემდეგ კავშირი წვევამდელებისა თავიანთ ნაწილებთან და ჩვენი გაზეთის რედაქციასთან? წარსულში გატარებულ მუშაობიდან ჩვენ ვიცით, რომ მზადების და თავრების შემდეგ 1904 წ. დაბად. წვევამდელების კავშირი თავიანთ ნაწილებთან არის სუსტი. ასეთივე კავშირია ჩვენს რედაქციასთანაც. 1905 წელში დაბადებულ წვევამდელებმა სწორეთ ამ გარემოებას უნდა მიაქციონ მომავალში ყურადღება და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, როგორც თავიანთი ნაწილები, ისე ჩვენი გაზეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში მალე დაავიწყდებათ ამ ორი კვირის განმავლობაში მიღებული ცოდნა მზადების წერტებზე და მათ არ ეცოდინებათ თუ რა ხდება ჩვენს წითელ ჯარში და საერთოდ.

წვევამდელთა შორის მომუშავე ამხანაგებმა ყოველივე ზემოთქმულზე ვრცლად უნდა ესაუბრონ წვევამდელებს ამ მეცადინეობის დასრულების დროს, აუხსნან თუ როგორი კავშირი უნდა იქონიონ წვევამდელებმა სათანადო ნაწილებსა და ჩვენს გაზეთთან და რა უნდა გააკეთოს თითეულმა მათგანმა სოფლად და ქალაქად მზადებიდან დაბრუნების შემდეგ.

წვევამდელო! მეცადინეობა უკვე დამთავრებულია. შენი მოვალეობაა დაივიწყებას არ მისცე მიღებული ცოდნა და იქონიო კავშირი შენს ნაწილთან და გაზეთ „წითელ არმიელთან“.

## ჩინეთის მდგომარეობის შესახებ.

გაზეთების განმარტების მიხედვით ჩინეთში მყოფი უცხოელები ფიქრობენ, რომ დღევანდელი საომარი შეტაკებები გადაიქცევიან გადამჭრელ ხასიათის ბრძოლად, რომელსაც მოჰყვება სრული დამარცხება მილიტარისტების, ანდა ძალაუფლებას აიღებს ხელში ერთი ძლიერი მილიტარისტი, რომელიც „დაამყარებს წესრიგს“.

მაგალითად „პეკინ ლიდერი“ სწერს:

„საქმის ვითარება იწვევს შეტაკებებს ორ მთავარ ჯგუფს შორის. სასურველია კონფლიქტი დასრულებულ იქნას ერთი მხარის საბოლოო დამარცხებით. მხოლოდ ამრიგად შესაძლებელი იქნება არეულობიდან წესრიგზე გადასვლა“.

„პეკინ ენდ ტიანზ-ცზინ-ტაიმსი“ სწერს: „როგორც ჩანს აუცილებელია დიდი ბრძოლა ჩჟილის და მუკდენის მოკავშირეებსა და სახალხო არმიებს შორის შესაძლებელია, რომ როცა ომი დამთავრდება, მდგომარეობა აუტანელი შეიქნება და მილიტარისტები გაიგებენ, რომ განუწყვეტელი ომი, ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანს იმ საკითხების გადაჭრამდე, რომელთა გახანგრძლივებას სასოწარკვეთილებამდი მიჰყავს ხალხი. ეკამათება რა გაზეთ „პეკინ ლიდერს“, „პეკინ ტრიბუნი“ სწერს:

„ასეთი საბოლოო შეტაკება შეუძლებელია, ვინაიდან კონფლიქტში ჩაერევა უცხო სახელმწიფოები“.

## პროტესტის ნიშნად.

4 მარტს, პარიზში დაკეტილ იქნა მთელი მაღაზიები 2 საათიდან 4-მდი ნიშნად პროტესტისა საგანგებო დაბეგვრის წინააღმდეგ.

# ახალი რადიო ამბები

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

### როგორ ატარებს ბურჟ. ქვეყნები „განიარაღებას“

შეერთებულ შტატების სამხედრო სამინისტრომ წარუდგინა კონგრესს 5 წლის საჰაერო პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს 1.200 ჰაეროპლანის აგებას 16.636 მსახურთა შემადგენლობისთვის. საავიაციო ხარჯები იზრდება 15 მილიონ დოლარით.

მთელი ხარჯთაღრიცხვა საჰაერო უწყებისთვის უდრის 150 მილიონ დოლარს.

## იტალიამ დაიკავა ჯერაბუბი

იტალიისა და ეგვიპტეს დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება, რათა უკანასკნელს გადაეცა იტალიისთვის ჯერაბუბის რაიონი, რომლებზედაც მოსახლეობენ ბედუინთა ტომები.

ბედუინებმა არ სცნეს ეს ხელშეკრულება. ამჟამად იტალიამ, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ბედუინების მხრივ, დაიკავა ჯერაბუბი.

იტალიის გაზეთები, რომლებიც გამოდიან ეგვიპტეში, ჯერაბუბის დაკავებას სთვლიან იტალიის კოლონიალურ პოლიტიკის დიდ გამარჯვებად.

## მუშათა დემონსტრაციები გერმანიაში.

გერმანიის პრეზიდენტ ჰინდენბურგის საგაზაფხულო ბაზრობაზე მისვლასთან დაკავშირებით კომუნისტებმა მოაწყვეს მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები.

ხემნიცაში კრების შემდეგ უმუშევრებმა მოაწყვეს მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. მოხდა შეტაკება პოლიციასა და უმუშევრებს შორის

პოლიციამ აამუშავა ჯავშნიანი ავტომობილები.

## ფაშისტ-სტუდენტების მოთხოვნით.

ბუხარესტის უნივერსიტეტების სტუდენტ—ფაშისტებმა წარუდგინეს მთავრობას მოთხოვნილება გამორიცხონ სასწავლებლებიდან კომუნისტი სტუდენტები.

მთავრობამ უკვე გასცა განკარგულება ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

## პირდაპირი მიმოსვლა მოსკოვსა და რომს შორის.

გუშინ, 4 მარტს, პრაგაში გაიხსნა საჰაერო მიმოსვლის კონფერენცია.

კონფერენციამ უნდა განიხილოს მოსკოვსა და რომს შუა საჰაერო მიმოსვლის საკითხები. საჰაერო გზა გაივლის პოლონეთსა და ჩეხო—სლოვაკიაზე. კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების დელეგაციები.

## ლიუტერი ერთა ლიგის შესახებ.

გერმანიის რეიხსკანცლერმა ლიუტერმა ერთ საზეიმო ვახშამზე აღნიშნა, რომ, დაუშვებელია, გერმანიაზე მუდმივი ადგილის მიცემა ერთალიგაში გამოიწვიოს ცვლილება ლიგის შემადგენლობაში. მხოლოდ მაშინ, როცა გერმანია გახდება ერთალიგის საბჭოს წევრი და პრაქტიკულ გამოცდილების გზით გაეცნობა დაწვრილებით ერთალიგის მექანიზმს, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას დაიკავოს საფუძვლიანი პოზიცია ახათუიმ წინადადების მიმართ, რომელიც კი შეეხება შემადგენლობის გაფართოებას ან საბჭოს ორგანიზაციას.

## უთანხმოება მოგვარებულ იქნება.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის მთავრობა არჩევდა 3 მარტს საკითხებს ერთალიგის საბჭოს გაფართოების შესახებ.

ინგლისის ოფიციალურ წრეებში გაძლიერებულია აზრი, რომ მთავრობის წევრებს შორის უთანხმოება, რომელიც გამოწვეულია ამ საკითხით, მოგვარებულ იქნება.

## გერმანელთა დაპატიმრება პოლონეთის ზემო სილეზიაში.

გერმანიის რწმუნებულმა ვარშავაში გადასცა პოლონეთის მთავრობას სასტიკი საპროტესტო ნოტა ზემოსილეზიაში გერმანელების დაპატიმრებისა და იმ წაქეზების კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს პოლონეთის გაზეთები.

# საბჭოთა კავშირში

### სამხედრო და სამხედრო—პოლიტსკოლების შევსებისთვის.

საკავშირო კომპარტიის ცეკამ მიმართა განსაკუთრებული წერილით პარტიულ კომიტეტებს, რათა თებერვალ—აპრილის განმავლობაში მოწყობილ იქნას სამხედრო და სამხედრო—პოლიტსკოლების შევსების კამპანია. ამ კამპანიაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა საერთო განათლებით და ჯანმრთელობით შევსება აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნილებებს.

კამპანიის ჩასატარებლად საგუბერნიო აღმასკომებთან ეწყობა შემკრები კომისიები საგუბერნიო კომიტეტის, საგუბ. აღმასკომის პრეზიდიუმის, პროფკავშირების, საკ. ლენ. ახ. კომკავშირის, სამხედრო პოლიტორგანოების და აგრეთვე ადგილობრივი უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

### ახალი ორთქლმავლების დამზადება.

გზათა კომისარიატს განზრახული აქვს დამზადება მიმდინარე წლის განმავლობაში 250 ახალი ორთქლმავლის საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

ორთქლმავალთა დამზადება დაჯდება 22 მილიონი მანეთი.

### 105 წლის დურგალი.

კრემენჩუგის მშენებელთა კავშირში ირიცხება დურგალი შჩერბინი, რომელსაც შეუსრულდა 105 წელი.

შჩერბინი მუშაობს დურგლად 10 წლიდან; ამ რიგად მას აქვს 95 წლის საწარმოო სტაჟი.

მშენებელთა კავშირის ცენტრალურ მმართველობამ აღძრა შუამდგომლობა დაენიშნოს შჩერბინს პენსია.

# საქართველოში

### საცდელ-საჩვენებელი მინდორი.

სოფელ შემოქმედში (გურია) საცდელ-საჩვენებელ მინდორს დაეთმო 20 დესეტინა მიწა.

### მანგანუმის გატანა.

2 მარტს ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა ამერიკისა და ჰოლანდიის გემები 4.348 ტონა მარგანეცით დატვირთული.

### მეფუტკრეობის გასავითარებლად

ოზურგეთის მაზრაში მეფუტკრეობის განვითარებასთან დაკავშირებით სოფლად დადიან მეფუტკრე-ინსტრუქტორები და კითხულობენ ლექციებს მეფუტკრეობაზე.

ახლო მომავალში ჩატარებულ იქნება საჩვენებელი მუშაობა მეფუტკრეობის საქმეში.

### ქალთა დღესასწაულისათვის.

პარტიისა და კომკავშირის ყველა უჯრედებში ქ. ფოთში ქალთა დღესასწაულის დღეს ჩატარებულ იქნება კრებები უპარტიო ქალთა მონაწილეობით. ჩატარდება აგრეთვე დელეგატ ქალების საზეიმო სხდომა. უპატრონო ბავშვებს ამ დღეს დაურიგდება ტანსაცმელები.

# სამხ. სამეც. საზ.-ს მეორე კონფერენცია.

## კ. წ. დ. არმიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო ორგანიზაციების მეორე კონფერენციის დახასიათება.

კონფერენციამ ჯამი გაუკეთა სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას ადგილებზე, როგორც კ. წ. დ. არმიის ნაწილებში, ისე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

როგორც კონფერენციაზე გამოირკვა საზოგადოებას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. დასახულ იქნა შემდეგი ნაბიჯები მუშაობის ყველა დარგებში.

ჩვენი სუსტი ადგილი ჯერჯერობით ისაა, რომ სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების უჯრედებში ვერ არიან სათანადოთ ჩაბმული პოლიტიკური, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ქარხნებს, ფაბრიკებს, სასწავლებლებსა და სოფლებს ჯერ კიდევ ვერ უგრძვნიათ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის აუცილებლობა.

ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ის კადრები და გაერთიანებანი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება დღემდის, შედგენ შემდეგი განვითარებისა და ნაყოფიერ შემოქმედებითი მტკიცე სასიცოცხლო გზაზე.

**საორგანიზაციო ამოცანები**

საჭიროა წინანდებური აქტივობითა და შეუდრეკლობით ჩავაბათ სულ მეტი და მეტი მასები ჩვენს ორგანიზაციებში.

„თვითეული მეთაური, პოლიტმომუშავე, წითელ არმიელი უნდა გახდეს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი".

პარტია და საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩვენი მუშაობის შემდეგი ზრდისა და წარმატების საფუძველია.

წითელი არმიის მე 9 წლის თავზე არც ერთი სამხედრო ნაწილი არ უნდა დარჩეს, რომ შიგ არ იქნას მოწყობილი სამხედრო სამეცნიერო წრე.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დიდი ოქტომბრის მე-10 წლის თავზე არც ერთი სამოქალაქო კლუბი ქალაქში, სოფლად თუ სკოლაში არ უნდა დარჩეს სამხედრო ცოდნათა უწრეოდ.

**საზოგადოებაში მუშაობის ხასიათის შესახებ.**

შემდეგისათვის გაძლიერებულ უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭირბოროტო საკითხების დამუშავება.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება პირით მასებისა და კლუბებისაკენ—აი არმიის მე-2 კონფერენციის დამკვრელი ლოზუნგი.

ჩვენ დღეს უნდა გამოვიდეთ ფართე გზაზე არმიის გარედ.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების შეღწევა ფაბრიკაზე, ქარხანაზე, სამხედრო სასწავლებელსა და სოფელზე, ფართედ უნდა იქნას წარმოებული.

ახლოს სამოქალაქო მეცნიერებასთან! ეს ჩვენი პროლეტარული კულტურის ერთი უმთავრესი ძარღვია, რომელიც ამაღლებს ჩვენს ეკონომიკას, ტეხნიკას და საბრძოლო ძლიერებას.

არმიის ცხოვრებისა და ქვეყნის თავდაცვის ყველა დარგი დაწყებული წითელ არმიელის მიერ ფეხსახვევის დახვევიდან და გათავებული ავიაციის, ქიმიის, რადიო-ტეხნიკის, სტრატეგიისა და სხვა საკითხებით—აი ის სამეცნიერო თემები, რომლებიც უნდა დაამუშაოს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებამ.

**სამხ. სამ. საზ.-ს მუშაობის მეთოდიკის შესახებ**

აუდიტორია იძლევა სამეცნიერო თემის ჩანასახს, ხოლო უკანასკნელი შობს სექციას, რომელიც აძლევს მას მეცნიერულ ფორმას და სახეს.

ჩვენ არ უნდა შევაფიქროს მუშაობის დაწყებამ ცარიელ დარბაზში. ხშირად „თავისუფალი სკამები და ცივი კედლები გადასცემენ მშრომელთა ფართე მასებს ჩვენს ზრახვებსა და მოწოდებებს.

პროლეტარული მასები გაიგონებენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ხმას, როგორც დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ფხიზელი დარაჯის მოწოდებას.

**სამხედრო სამეცნიერო საზ.-ის დისციპლინის შესახებ.**

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებაში არ არის არც კვადრატები, არც რომბები.

მეცნიერული ავტორიტეტი, საზოგადოებრივ—რევოლუციონური დისციპლინა—აი მამოძრავებელი ძალა ჩვენი სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების მოქმედებისა.

**მუშაობის პოპულარიზაციის შესახებ.**

ჩვენი მუშაობის ფართე პოპულარიზაციისთვის, მშრომელი მასების ფართე გაცნობისთვის ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე და აგრეთვე ტეხნიკურ საშუალებათა განვითარებაზე, ჩვენ უნდა გავაღვიძოთ მუშებისა და სოფლის კორესპონდენტთა არმია.

სხვა და სხვა გამოცემა, გაზეთი, ბიულეტენები—აი ჩვენი შრომის, ნაკლისა და მიღწევების თვალსაჩინო ასპარეზი.

**კონფერენციის დასკვნები.**

როგორც დასკვნა წასულ კონფერენციიდან უნდა ითქვას: გამოცდილებანი დაგროვილია და ჯამი გაკეთებული აქვს. აღრიცხულია ნაკლი და მიღწევები.

სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციებს კავკასიის წითელდროშოვან არმიასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჩაეყარა საფუძველი.

კონფერენციის დელეგატების აქტივობა, რომელიც გამოხატავს მუშურ-გლეხურ მასების და, კერძოდ, მათ ამომრჩევთა მდუღარ ენერგიას, გვაძლევს საშუალებას დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ არმია, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს თოფი, მეორეთი ფურცლავს წიგნს, რომელშიაც აღნიშნულია გზები სოციალიზმის გამარჯვებისა მთელს ქვეყანაზე.

მ. ლევანდოვსკი.

# სამხედრო საქმე

## კავშირის გაბმა მტრედების საშუალებით.

კავშირს გაწვრთნილი მტრედების საშუალებით ძველადაც მიმართავდენ, როგორც სამხედრო საქმეში, ის მშვიდობიან დროს სპორტის მიზნებით. უკანასკნელ დროს ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქციეს ყველა არმიებში. ხშირად ბრძოლაში ისეთი შემთხვევა, როცა არაა საშუალება დაიკავოს რომელიმე სახის კავშირი. მაგალითად გაცხარებულ ბრძოლის დროს მოწინავე ნაწილები ხშირად მოწყდებიან თავიანთ დამხმარე ნაწილებს, ვინაიდან ყველა ტეხნიკური საშუალებანი ნადგურდებიან ყუმბარებით, მასთან მხედველობით კავშირის დაჭერაც შეუძლებელია. ერთად ერთი საუკეთესო საშუალება ასეთ გარემოებაში მტრედებია. მეორე მაგალითი მოძრავ ნაწილებისთვის, მაგ. ცხენოსან თარეშთათვის, როცა ტეხნიკურ კავშირის გაბმა შეუძლებელია, მტრედების ყოლა და მათი საშუალებით კავშირის გაბმა მეტად საიმედო და ადვილიცაა.

მტრედი ფრინავს საკმაოდ ჩქარა (50—60 ვერსს საათში). გადაფრენა შეუძლია დიდ მანძილზე: კარგად გაწვრთნილ მტრედს შეუძლია გადაფრინდეს 500 ვერსის მანძილზე.

პირობითი ნიშნებით დაწერილ ცნობას მიაბამენ მტრედს ფეხზე. დეპეშის წონა არ უნდა აღემატებოდეს ერთს, ერთნახევარ მისხალს.

წინად მტრედების საშუალებით კავშირის მოწყობას მიმართავდენ იქ, სადაც იყო მტრედების სადგურები. ეხლა შემოღებულია მოძრავი სადგური, ეს არის ორთვალა სა[illegible]თი 40—60 მტრედისთვის და მოძრაობს შტაბთან ერთად. საჭიროებისდამიხედვით მტრედები კალათით გადაეცემა მოწინავე ნაწილებს, საიდანაც ისინი ბრუნდებიან ცნობებით სამტრედეში.

11 თებერვალს ტფილისის გარნიზონის ზოგიერთ ნაწილების ტაქტიკურ მეცადინეობაზე საკმაო წარმატებით იქნა ჩატარებული კავშირი მტრედების საშუალებით.

მიუხედავად კავშირის საშუალებათა განვითარებისა (რადიო-ტელეფონი), კავშირს მტრედების საშუალებით მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება სამხედრო საქმეში, როგორც დამხმარე საშუალებას, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იქნება მაშინ, როცა ხელთ არ გვექნება კავშირის სხვა საშუალებანი და საიმედობას მიზნით საჭირო იქნება ორმაგი ან სამმაგი კავშირის დაჭერა რომელიმე მნიშვნელოვან წერტილთან.

პ.

**წვევამდელებო! მეცადინეობა უკვე დაწყებულია. დაიჭირეთ კავშირი თქვენს გაზეთთან და მოგვაწოდეთ კორესპონდენციები თქვენი ყოფა-ცხოვრებიდან.**

# 1-ლი ქართული დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია პარტაღმშენებლობის მომავალ ამოცანების შესახებ.

პარტიის ყოველი წევრისათვის, ცხადია, რომ პარტაღმშენებლობის საკითხების სწორად გადაჭრისაგან პარტიულ ყრილობებზე და კონფერენციებზე დამოკიდებულია მთელი პარტიული მუშაობის მიმართულება შემდეგში, რის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დივიზიის პარტორგანიზაციისათვის პარტკონფერენციის დადგენილებებს პარტაღმშენებლობის შესახებ.

პარტკონფერენცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი დივიზიის პარტორგანიზაციას, შედარებით მე-4 პარტკონფერენციასთან, დიდი მიღწევები აქვს, რაც გამოიხატება: ასეულის კომუჯრედის სისტემაზე გადასვლაში, გეგმიან მუშაობაში, დისციპლინის განმტკიცებაში და პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაში თვითმოქმედ ორგანიზაციებზე. ზემოაღნიშნული მუშაობის ხარისხოვნად ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას ჩვენი პარტორგანიზაციისას.

არა ნაკლებ ანგარიში პარტკონფერენციამ გაუწია ჩვენი სინამდვილის ისეთ დამახასიათებელ მოვლენებს, როგორიცაა ახალწვეულების პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებების ზრდა და ახ. ლ. კ. კავშირის წევრთა რიცხვის გადიდება განსაკუთრებით ახალწვეულ წითელარმიელებიდან. ეს უკანასკნელი მდგომარეობა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ძირითად პარტორგანიზაციების მიერ თავის მიმდინარე ყოველდღიურ მუშაობაში.

**კომუჯრედი და ნაწილის აღმშენებლობა.**

წარსულში ეს საკითხი იწვევდა დიდ კამათს პარტამხანაგებს შორის, რის გამოც არსებობდა რამოდენიმე აზრი ამის შესახებ. ამასთანავე ერთად ქონდა ადგილი ზოგ შემთხვევაში გადახრასაც კი. პარტკონფერენციამ ნათელჰყო ეს საკითხი და თავის რეზოლუციებში აღნიშნა, რომ „ზოგ ქვედა ორგანიზაციებში ვერ იყო სწორად შეთვისებული პრინციპი უჯრედის პასუხისმგებლობისა, ნაწილის აღმშენებლობისა, წითელარმიელთა სამხედრო და პოლიტიკურად აღზრდის და გაწვრთნის საქმეში. ამ მხრივ არავითარ გადახრას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როგორც უფლებების გადაჭარბებაში, ისე პარტორგანიზაციის როლის შესრულებაში.

**მეტი ყურადღება ადგილობრივ ცხოვრების საკითხებზე.**

პარტიულმა მუშაობამ დაგვანახა, რომ წარსულში ძირითადი უჯრედები თავის კრებებზე უფრო მეტად სვამდნენ განყენებულ ხასიათის საკითხებს, ვიდრე ადგილობრივ ცხოვრების სინამდვილიდან, რაც არასოდეს მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს. პარტკონფერენციამ ხელახლად დაადასტურა ნაწილის აღმშენებლობის და ყოფა-ცხოვრების საკითხების განხილვა პარტკრებებზე და ამავე დროს დამუშავება საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახები საკითხებისა.

**უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ.**

დღეს მთელი წითელი არმიის პარტორგანიზაცია სდგას წითელარმიელთა მასის დიდ აქტივობის ფაქტის წინაშე, რის გამო მუშაობა უპარტიოთა შორის მოითხოვს დიდ სიფრთხილეს და ყურადღებას მთელი პარტორგანიზაციისაგან. პარტკონფერენციამ გაუწია ამას ანგარიში და სცნო მუშაობა უპარტიოთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანათ. ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ღია პარტკრებები, ინდივიდუალური მიმართვა, თვითმოქმედი ორგანიზაციები და დანარჩენი სახეები სკოლის გარეშე მუშაობისა რომელიც სამართლიანად ითვლება პარტიულ მუშაობათ უპარტიოთა შორის. პარტიის სწორ ხელმძღვანელობისგან სკოლის გარეშე მუშაობაზე ნახევრად უზრუნველყოფილ იქნება პარტიის გავლენა და ავტორიტეტი უპარტიო მასებზე.

**რიგის პარტამხანაგების გააქტივება.**

პარტკონფერენციამ დაადასტურა ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს რიგის კომუნისტების გააქტივების საქმეში. გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა კომუჯრედის მდივნების სემინარებმა მოგვცა ჩვენ საშუალება აქტიურ პარტამხანაგების ახალ კადრის გამოყოფისათვის და მათი გამოყენებისათვის სახელმძღვანელო მუშაობაზე (კომუჯრედის მდივნებად, უჯრედების ბიუროს წევრებად და სხვა). კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რომ შემდეგშიც სწარმოებდეს მზადება რიგის კომუნისტების ზემოაღნიშნულ სემინარების მოწყობით. ამავე დროს მიექცეს სათანადო ყურადღება სემინარების მონაწილეთა პარტიულ სტაჟს. აგრეთვე მეტი გეგმიანობა—პარტკონფერენციის შეხედულებით,—უნდა იქნეს შეტანილი პარტბიუროს და კომუჯრედების მდივნების გადარჩევის საქმეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პარტაქტივის წამოყენებისათვის.

ი. რუდოვსკი.

(გაგრძელება იქნება)

# შეისწავლე ტყვიამფრქვევი.

ბრძოლა შესდგება სამი ნაწილისაგან. პირველია მიახლოება, მეორე—შეტევა, მესამე—იერიში.

მიახლოვების, შეტევისა და იერიშის დროს მძიმე ტყვიამფრქვევი აუცილებელ იარაღს წარმოადგენს.

მძიმე ტყვიამფრქვევი თანახლავს ამა თუ იმ ნაწილს და თავისი განუწყვეტელი ცეცხლით გზას უკაფავს ნაწილს. ამასთან მძიმე ტყვიამფრქვევი თავისი ცეცხლით იფარავს ნაწილს მტრის ცეცხლისაგან და ამაგრებს უკვე განვლილ ზღვარესა და სივრცეს.

როცა სამხედრო ნაწილი მიაღწევს მოპირდაპირემდი 100—300 მეტრის მანძილზე, ამ დროს მძიმე ტყვიამფრქვევის მუშაობა უმთავრესად გამოიხატება იმაში რომ ის მუსრავს მტრის რეზერვებს და დახმარებას უწევს თავის მეზობლებს.

„მაქსიმი"-ს ტყვიამფრქვევი ჯგუფური ცეცხლის იარაღია. ის ისვრის არა ცალკე ტყვიებით, როგორც შაშხანა, არამედ უშვებს ტყვიების ნაკადულს. ტყვიამფრქვევს შეუძლია გაუტოლდეს 50 მსროლელს. „მაქსიმი"-ს ტყვიამფრქვევი თავის ცეცხლის სიძლიერით ბრძოლის საფუძველია. ტყვიამფრქვევზე დამოკიდებულია თვით ნაწილის გამარჯვება.

ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ტყვიამფრქვევის გონივრულად გამოყენება, მსროლელმა კარგად უნდა შეისწავლოს ის და მისი ჯიუტობა, რაც ხანდიხან სჩვევია მას. ტყვიამფრქვევი მოითხოვს დიდ მოფრთხილებასა და სუფთად შენახვას.

ტყვიამფრქვევი რომ შესწავლილ იქნას როგორც წესი და რიგია, ეს მოითხოვს დიდ მუშაობას. ამიტომ ამ ზამთრის პერიოდის მეორე საფეხურის სწავლების დროს მსროლელებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ტყვიამფრქვევის შესწავლას.

ი. გ.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## მოკლევადიანი შეკრება ჩვენს ლეგიონში.

5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.

პირველი შეკრებისათვის 25 თებერვალს ათასეულმა შესძლო სრული ასი პროცენტით შეეყარა თავი თავის აღრიცხვაზე აყვანილ ამხანაგებისათვის.

25 თებერვალს დილიდანვე იწყეს შეკრება ამხანაგებმა. მოდიოდენ სიმღერით—ყიჟინით და თან ამხიარულებდენ ათასეულის ყაზარმას.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ათასეულის კლუბში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება მოკლევადიან ტერ-შეკრების მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა მომხსენებელმა გააცნო ცვალებადელებს თუ როდის მოხდებოდა მორიგი მოკლე-ვადიანი შეკრება და როგორ უნდა შეხვედროდენ მას.

ყველა ამხანაგები კმაყოფილი დარჩენ აღნიშნული შეკრებით და სიხარულით განაცხადეს, რომ უფრო ერთსულოვნად მოეყრიან თავს შემდეგი შეკრების დღეებში.

სამხედრო შ. დოლიძე.

## მოხსენება ავიოქიმზე.

სუფსის წერტი.

27 თებერვალს სუფსის წერტზე შესდგა წვევამდელთა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც წერტის უფროსმა გააკეთა მოხსენება ავიოქიმზე—სტრატეგიული თვალსაზრისით და მის გამოყენებაზე სამეურნეო დარგში.

მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ავიოქიმის ბიურო. გაკეთებულ იქნა მოხსენება აგრეთვე რემედასზე და სამხედროს მოვალეობის შესახებ.

რემედასის შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება ჩამოყალიბებულ იქნეს მისი უჯრედი, რისთვისაც არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი ბიურო.

წვევამდელი ორაგველიძე.

## ხარაგოულის წერტი.

ხარაგოულის წერტზე მეცადინეობა დაიწყო 19 თებერვალს. წვევამდელები ყველა გამოცხადდა და დიდ ენერგიას იჩენდენ ცოდნის შეძენაში, ჩამოვაყალიბეთ კომ-კავშირის კოლექტივი, რომელიც შესდგება 29 კომკავშირის წევრისაგან.

წვევამდელების 50 პროც. კომკავშირელია, რომლებიც ხელს უწყობენ მეცადინეობის მიმდინარეობას; მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხე, სადაც მიმდინარეობს ხმამაღალი კითხვა; მოგვდის გაზეთი „წითელ არმიელი", რომელსაც თითქმის ყველა წვევამდელი კითხულობს. საერთოთ ამხანაგებს ემჩნევათ, რომ მოწადინებული არიან ცოდნის შეძენაში, უკმაყოფილებას არავინ გამოსთქვამს, პირიქით ყველა კმაყოფილია.

სამხედრო ლიახვისპირელი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## შეჯიბრი წარმოდგენების დადგმაში

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონში შემოღებულია არის შეჯიბრი წარმოდგენების დადგმაში. უკვე ჩაატარეს წარმოდგენები 1, 2 და 3 ათასეულებმა, სკოლამ, ცხენოსან ნაწილმა და საკავშირო ოცეულმა.

უკანასკნელი რიგი ლეგ-შტაბზე იყო და მანაც პირნათლად შეასრულა დავალება.

წარმოდგენის დაწყებამდე კლუბის უფროსმა ამხ. ჭკადუამ გააცნო დამსწრეებს პიესის შინაარსი.

შეჯიბრს დიდი ნაყოფი მოაქვს და ამ მუშაობაში ებმება მთელი ლეგიონის შემადგენლობა და მეთაურების ზოგიერთი ოჯახის წევრებიც.

მუშაობაში უფრო დაინტერესების მიზნით კლუბის მმართველობას ევალება თითეული ნაწილის დადგმის შეფასება; გამოსთქვას თავიანთი აზრი და პრესის საშუალებით გვაცნობოს, თუ რომელმა ათასეულმა თუ ასეულმა მეტი უნარი გამოიჩინა ამ დარგში.

ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა მომავალში გამოვასწოროთ ჩვენი დეფექტები და უფრო ენერგიულად მივდგეთ საქმეს.

სამხედრო გოგია ჭილელი.

## ექსკურსია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

2-რე საკავშირო ასეული.

ასეულის მთელი შემადგენლობა წაიყვანეს ჩვენი შეფის-ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დასათვალიერებლად.

მისვლისთანავე დაგვყვეს ჯგუფ-ჯგუფად და დავიწყეთ სხვა და სხვა სისტემის აპარატების დათვალიერება. ადგილობრივი მოსამსახურეები გულთბილად მოგვეკიდენ და დაწვრილებით გვიხსნიდენ აპარატების ყველა დეტალებს. გავეცანით ერთდროიმავე დროს ცნობების გადამცემ მიმღებ აპარატების მუშაობას და მრავალი სხვა.

ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ასეთებს.

სამხედრო ვ. გორთელი.

## მოგვაცილეთ ღორები.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონის ქსენონის ეზოში აუარება ღორები დაირებიან. მთელი ეზო ისეა ატალახებული, რომ შეუძლებელია შიგ გავლა. ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ავადმყოფი წითელ არმიელები, რომლებსაც ხშირად დიდი ხნით უხდებათ ეზოში დგომა. ნუ თუ ასე ძნელია, რომ თავი ვიხსნათ ასეთი მდგომარეობიდან?

სამხედრო ჭინკა.

## ვეცნობით მუშათა ორგანიზაციების ცხოვრებას.

ქართულ სამხედრო პოლიტიკური სკოლა მეორე რაიონის წყალსადენის მუშებთან.

ამ რამოდენიმე დღის წინად მთელი სკოლის შემადგენლობა გაემგზავრა ქალაქ ტფილისის მეორე რაიონის წყალსადენის მუშების ორგანიზაციების მთავარი სახელოსნოს დასათვალიერებლათ.

მისვლისთანავე შემოგვეგებენ მუშები და მისალმების შემდეგ დავათვალიერეთ. აქ დაწვრილებით გავეცანით, როგორ და რის საშვალებით იწმინდება წყალი, მის რაოდენობას და სხვა.

კურსანტები დაიფანტენ სახელოსნოში სხვა და სხვა დაზგებთან და გაფაციცებით აძლევდენ მოხელე მუშებს შეკითხვებს, რომლებიდანაც ღებულობდენ სათანადო ახსნა-განმარტებას.

სახელოსნოს დათვალიერების შემდეგ, იქვე იყო გადაღებული მუშებთან ერთად სურათი, შემდეგ ვინახულეთ კლუბი, დაწვრილებით გავეცანით მუშების ცხოვრების პირობებს, ხელფასს და სხვას.

კლუბი, სამკითხველო, ლენინის კუთხე და ახალგაზრდა კომკავშირის ოთახები საუცხოვოთ არის მორთული, სადაც მოიპოვება შესაფერი სურათები, პლაკატები, ლოზუნგები და სხვა. იქვე ვინახულეთ ქალაქისა და სოფლის მოდელი, რომელმაც იშვიათი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

მუშებს არა აქვთ სამხედრო კუთხე, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ახლო ხანში მოუწყოთ მათ ასეთი. ამისთვის კიდევაც მივვიჩინეს სამისო ოთახი.

დათვალიერების შემდეგ გაიმართა გაერთიანებული საზეიმო კრება კლუბის დარბაზში.

დღესასწაულების შესახებ მოხსენების შემდეგ, რომელიც გააკეთა ამხ. თოდრიამ, გაკეთებული იქნა მოხსენება წითელ არმიაზედაც.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ტერ სისტემის მნიშვნელობა საერთოდ, და მოქალაქეთა გასამხედროება სამხედრო სამეცნიერო წრის საშვალებით. მუშებს და გლეხების სამხედრო საქმის ფართოთ შესწავლას და მომავალი ომისათვის მეომართა შემადგენლობის თადარიგის შექმნას და სხვა. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლუცია.

დასასრულ კლუბში ნაჩვენები იქნა თანამედროვე კინოსურათები.

ჯ. ქუთელია.

## პოლიტ მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

2-რე ლეგ. 2-რე ათასეული.

24 თებერვალს მე-2რე ათასეულის პოლიტ შემადგენლობის მიერ მოწყობილი იქნა წითელ არმიელთათვის პოლიტ-ლატარია, რომლისთვისაც სათანადო საჩუქრები დარიგებულ იქნა ოზურგეთის სამაზრო პოლიტ-განისა და განათლების განყოფილების მიერ.

პოლიტ-ლატარიას ქონდა წამაქეზებელი და გამოცდის ხასიათი, რამაც კარგი შედეგები მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ წ. თ. არმიელებში ქართულის სუსტად მცოდნე ოსებიც გვირევია, პასუხები განვლილი თემებიდან საუცხოვო იყო; წითელ არმიელებიც ძალიან კმაყოფილი დარჩენ.

ცოდნისდა მიხედვით შეიძლება შემდეგი პროცენტული შედარება მოვახდინოთ:

ყოველდღიურ მეცადინეობაზე დამსწრეთა რიცხვის 60%-მა კარგათ უპასუხეს, 28%-მა საშვალოდ, 12% ცუდათ. დასასრულს მე-2 ათასეულს პოლიტუფშემადგენლობა და წითელ არმიელები დიდ მადლობას უძღვნიან ოზურ. პოლიტგანის გამგეს ამხ. ჭყუისელს სამოსწავლო ნივთებით დახმარებისათვის, ვუსურვებთ მომავალშიაც გაეწიოს მას ასეთი მზრუნველობა ჩვენთვის.

სამხედრო ვინმე.

## საჭიროა სისუფთავე.

3 მე ლეგ. 2-რე ათასეული.

ახალ-ქალაქის კომისარიატში ლეგიონის ხსენებულ ათასეულიდან გადმოყვანილი ვართ რამოდენიმე წითელ არმიელები, რომლებსაც ნაკლები ყურადღება გვექცევა სისუფთავის მხრივ. საცვლები არ გვისუფთავდება თავის დროზე. არ გვეძლევა საპონი და არც ფული, რომ ასეთი ვიყიდოთ. იძულებული ვართ ჩვენ თითონ შევიძინოთ საპონი.

დროა მოგვაქციონ ყურადღება ვისაც ჯერ არს.

წ. არმ. გოხაძე.

## მოგვეცით საათი.

2 რე არტლეგიონი.

ლეგიონში არა გვაქვს საათი, რაც სისტემატიურად გვაყენებს უხერხულ მდგომარეობაში. გუშაკების გამოცვლა არ ხდება თავის დროზე და უკმაყოფილებას აქვს ადგილი. ამას გარდა არ არის მოწყობილი საყარაულო შენობა შესაფერად. საჭიროა ყურადღების მიქცევა და აღნიშნულ ნაკლულოვანებათა გამოსწორება.

სამხედრო ბურკაძე.

## ცოტა რამ კედლის გაზეთის შესახებ. *)

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომრებში ამხ. იმნაიშვილი ეხებოდა რა ლეგიონის კედლის გაზეთის როლს და მის დანიშნულებას ჯარის ნაწილებში, მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დაიხუროს და მოისპოს ლეგიონის კედლის გაზეთი და მის მაგივრათ გაძლიერებულ იქნეს ასეულების კედლის გაზეთები.

მაგრამ ამხ. იმნაიშვილმა თავის წერილის პირველ თავშივე გააშუქა ლეგიონის კედლის გაზეთის როლი წარსულში და ეს შემდეგნაირათ დაახასიათა: „წინათ ჩვენი ლეგიონის კედლის გაზეთი გამოდიოდა კლუბში ლეგ. მაშტაბით, სადაც გაშუქებული იყო ყველა ასეულის საქმიანობაო".

ამხ. იმნაიშვილი კიდევ ამბობს, რომ „გაზეთი მაშინ კარგ დონეზე იდგა და მის გარშემო დარაზმული იყო ჩვენი ლეგიონის აქტივი წ. მ. და სამხედროებიც".

აქ ამხ. იმნაიშვილი არ სტყუის ჩემის აზრით და თუ არ სტყუის და მართალია ყოველივე ის, რასაც ის ამბობს ლეგიონის კედლის გაზეთის არსებობის შეფასებაში, მაშინ ჩემის აზრით ეხლაც შესაძლებელია და სარგებლიანიცაა არსებობა ლეგიონის კედლის გაზეთისა, ბიურო-კოლექტივის ორგანოს სახელწოდებით.

მაგრამ აქ ისმება ასეთი საკითხი: მოსახერხებელია თუ არა ლეგიონის კედლის გაზეთთან პარალელურად გამოცემა ყველა ასეულებში კედლის გაზეთებისა? მე მგონია არა, თუ ეს უკანასკნელი ხელს შეუშლის აქტივთა მიზიდვას და ლეგიონის კედლის გაზეთის სისტემატიურათ გამოსვლას.

ამხ. იმნაიშვილი ამაში მართალია, ვინაიდან ლეგიონში არ სწარმოებს გეგმიური და წინასწარი მუშაობა კედლის გაზეთის გამოშვებისათვის, რომ სამხედროებს და აქტივ წ. მ. საშუალება მიეცეს წერილების მიწოდებისა თავის დროზე, როგორც „წითელ არმიელის" რედაქციისათვის, ისე ლეგიონის და ასეულების კედლის გაზეთებისათვის.

ამხ. იმნაიშვილს ამის გამო დაუკარგავს იმედი ლეგ. კედლის გაზეთის მნიშვნელობის და როლის შესახებ—ვინაიდან მას, როგორც რედაქტორს—საშუალება არ ქონდა მარტო ეხლანდელი ლეგ. კედლის გაზეთის, როგორც ტექნიკურ, ისე იდეურ მუშაობისათვის. ჩემის მოსაზრებით არავითარ შუაშია აქ სამხედროებს და წ. მ. ასეულის კედლის გაზეთებზე მიზიდვა და მით ლეგიონის კედლის გაზეთის გამოშვების დაბრკოლებები. აი მაგალითად ტარდება რომელიმე დღესასწაული კედლის გაზეთების სამზადისი წინასწარ ჯერ კიდევ არ სჩანს არც ასეულებში და არც ლეგიონში, მიიწურება ერთ დღეზე თუ არა მაშინ ილვიძებენ სარედაქციო კოლეგიები და ასტეხავენ ერთ უბედურ განგაშს წერილების მიწოდებისათვის. ყველა აქედან მე იმის თქმა მინდა, რომ დღემდი ლეგიონში არ ყოფილა ლეგ. კედლის გაზეთის წინასწარი მზადება წერილების მიწოდებისათვის, რაც აბრკოლებდა ჩვენი გაზეთის წესიერ გამოსვლას. თუ გვინდა ლეგ. გაზეთი გამოვიდეს სისტემატიურად და მან აღნუსხოს ყოველივე, ამისათვის სარედაქციო კოლეგია ერთი კვირით ადრე უნდა შეუდგეს მზადებას და არა ერთი დღით ადრე, როგორც ეს დღემდი იყო.

რაც შეეხება ასეულების კედ. გაზეთების სიმრავლესა და მით ზიანის მიყენებას ლეგ. კედ. გაზეთზე, როგორც ამხ. იმნაიშვილი ამბობს, სიმართლეს არ შეიცავს. მეტი ენერგიით და ადრე მუშაობის დაწყებით ჩვენ შეგვიძლია გამოვსცეთ ჩვენი ლეგიონის კედ. გაზეთი, სადაც გაშუქებული იქნება ჩვენი ყოფა ცხოვრება უფრო დაწვრილებით, ვინემ ასეულების კედლის გაზეთებში—რითაც შესაძლებელია უფრო მეტი აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება ლეგიონის მაშტაბით.

ასეულების კედლის გაზეთები უფრო კარ ჩაკეტილ მყუდროებაში იქნება ჩემის აზრით.

ჩემის მოსაზრებით არ არის კარგი ლეგიონის კედლის გაზეთის დახურვა და ასეულების კედლის გაზეთების არსებობაზე გადასვლა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვერ დააკმაყოფილებს საერთო ლეგიონის სულიერ და ზნეობრივ მოთხოვნილებებს.

სამხედრო ა დეისაძე.

*) დისკუსიის სახით.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მუშაობა უმჯობესდება.

მე-5 ლეგ. 2-რე ათასეული.

ათასეულის უჯრედმა უკანასკნელად ძლიერ გამოაცოცხლა თავისი მუშაობა. ეს განსაკუთრებით მოხდა პარტამხანაგების წვრთებიდან დაბრუნების შემდეგ. ამ ჟამად ხშირად ეწყობა კრებები და ირჩევა საჭირბოროტო საკითხები. დღესასწაულებისათვის შესაფერად მომზადების მიზნით, მოწვეულ იქნა უჯრედის გაერთიანებული კრება და გამომუშავებული იქნა შესაფერი საკითხები.

შემდეგ მოხდა აგრეთვე კრება, რომელმაც განიხილა ნაწილში რემკდასის უჯრედის დაარსების საკითხი, რომელიც ერთხმად მოიწონა კრებამ და დაადგინა დაჩქარებით იქნეს მოგვარებული ეს საკითხი. დასასრულ გაირჩა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები. სათანადო ცნობებს ჩამორთმევისა და მათი პოლიტმომზადების დონის გამორკვევის შემდეგ აღძრული იქნა შუამდგომლობა მათი პარტიაში მიღების შესახებ.

სრული იმედია, რომ ჩვენი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნება მომავალში.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

## საგანმანათლებლო მუშაობა გამოცოცხლდა.

მე-2 საკ. ვშირო ასეული.

ჩვენი ასეულის კომკავშირის მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა ამბოლოო ხანებში. თუ წინად უფრო ხანტად მიმდინარეობდა მეცადინეობა, ამ ჟამად ამას ადგილი აღარ აქვს. ჩამოყალიბდა სხვა და სხვა წრეები, კომკავშირის წევრებმაც იმატეს რიცხობრივად. ყოველ კვირაში ერთჯერ სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთი, სადაც დაწვრილებით შუქდება ნაწილის ყოფა-ცხოვრება და მეცადინეობის სხვა და სხვა დარგები.

წრეების მუშაობაში ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ ასეულის წითელ არმიელები განურჩევლად პარტიულობისა.

ახლო მომავალში იმედენად წავალთ წინ, რომ ასეულის კომკავშირის ჯგუფი ერთ შესაფერ ადგილს დაიკავებს დივიზიის სხვა ნაწილებთან ერთად.

სამხკორი ქვიშარელი.

(მე-5-თე ლეგიონი.)

11 თებერვალს პირველ ასეულის ლენინის კუთხეში შესდგა 1-ლი კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც პარტიის წევრებისა და კანდიდატების გარდა დაესწრენ კომკავშირელებიც. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება კედლის გაზეთის მუშაობის შესახებ 2) წინასწარი მზადება წითელი ჯარის 8 წლის თავის დღესასწაულისათვის და საქართველოს გასაბჭოების ჩატარება. 3) განცხადებების განხილვა.

1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა თავის მუშაობის შესახებ ამხ. გველესიანმა, რომელმაც აღნიშნა ის სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლის მუშაობას. მე 2 საკითხზე ილაპარაკა ამხ. ჩაჩანიძემ იმის შესახებ, თუ როგორი წინასწარი მზადება უნდა იქნეს ჩატარებული ამ დღესასწაულების აღსანიშნავად. კრებამ ეს მიიღო ცნობათ. შემდეგ ამისა განხილული იქნა ამხანაგების განცხადება პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. გადარიცხულ იქნენ პარტიის წევრად 3 ამხანაგი.

მიმდინარე საკითხებში —არჩეული იქნა პარტკორი.

პარტკორი ოგანოვი.

## საჭიროა უფრო მეტი ყურადღება.

დ. კარელის წერტი

ჩვენს წერტზე დიდი გულმოდგინეთ მეცადინეობენ წვევამდელები, მაგრამ სამწუხაროდ სხვა და სხვა საგნებით ვერავართ უზრუნველყოფილი. მეცადინეობის დროს ფეხზე გვიხდება პოლიტსაათების მოსმენა. არა გვაქვს განათება და შემა.

არა ერთხელ მივმართეთ ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია. გვიპასუხეს მიმართეთ ნაწილსო. ლეგიონი კი გვითითებს სამხედრო კომისარიატზე. უკანასკნელი კი სხვაზე გვითითებს და ჩვენ კი ვრჩებით უყურადღებოთ.

სამხკორი მელია.

## ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა თანდათან მეტ გამოხმაურებას იწვევს მთელ ქვეყნიერებაზე. სხვადასხვა ქვეყნების მრავალი ფირმები შუამდგომლობენ გამოფენაზე მათი ექსპონატების დაშვების შესახებ.

შვეციის ფირმამ „სეპარატორმა“ უკვე გამოგზავნა ერთი გემი სხვა და სხვა მანქანებით დატვირთული განსაკუთრებით მერძევეობისათვის საჭირო იარაღებით. გემ „მარმარა“-ს, რომელიც ამ საქონლით დატვირთული მოელიან ბათომში 14 მარტს.

გამოფენაზე მონაწილეობის მიღება განზრახული აქვს აგრეთვე ლონდონის ავტომობილების ფირმას, რომელიც ჯერ უცნობია საბჭოთა კავშირში.

გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ფინეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელი ფირმა „კულტივატორი“.

გარდა უცხო სახელმწიფოებისა გამოფენაზე გამოსასვლელათ ემზადებიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რესპუბლიკებიც.

აზერბეიჯანის მთავრობამ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ უკვე დაიწყო სათანადო მუშაობა და სამისოთ გადასდო 7 ათასი მანეთი.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ავიაქიმმა მიიღო ნებართვა გადაიღოს გამოფენაზე წარმოებული მთელი მუშაობა კინოზე. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სხვა და სხვა მანქანების საცდელ მუშაობას გამოფენაზე.

გამოფენაზე შესასვლელი ფასი დაწესებულია წითელარმიელებისათვის და პროფკავშირების წევრებისათვის საღამოს 7 საათამდე ეღირება 30 კაპ., არაწევრებისათვის 50 კაპ.

დ.

# სამხკორის კუთხე

## სამკორი მხოლოდ სიმართლეზე უნდა სწერდეს.

ჩვენს გაზეთს „წითელ არმიელის“ საშვალებით არა ერთჯერ მიუცია რედაქციას რჩევა დარიგება სამხკორებისათვის იმის შესახებ, თუ ნაწილის სამხკორი რაზე ან როგორ უნდა სწერდეს. ამასთან ერთად ნაწილიც არა ერთხელ მოუსმენიათ ამხანაგებს, რომ რედაქციას არ შეიძლება მივაწოდოთ ყალბი ცნობა, ან პირად ინტერესებზე აგებული წერილები. სამწუხაროდ ახას ჩვენი ზოგიერთი სამხკორები არ აქცევენ ყურადღებას. მე მხოლოდ ძე-მე-ძე ლეგიონის სამხკორებზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა, რაც არა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჩვენს ლეგიონს ხელთ აქვს სამი უტყუარი საბუთი რომ ლებიც რედაქციის მიერ გადმოგზავნილია ზომების მისაღებად. ეს სამი წერილი, რომლებიც მიწოდებულია ჩვენი სამხკორების მიერ სრულებით არ შეიცავს სინამდვილეს როგორც ეს კვლევა ძიებიდან გამოირკვა.

ლეგიონში დიდ ყურადღებას აქცევენ სამხკორის შენიშვნებს ჩვენი მესვეურები და სასწრაფოდ ღებულობენ ზომებს აღნიშნულ ნაკლულოვანებების გამოსასწორებლად, რაც ზრდის სამხკორების ავტორიტეტს, მაგრამ როდესაც ყალბი ცნობებიც იბეჭდება ხანდისხან ესკი სულ სხვა მოვლენის წინაშე გვაყენებს. მე არ აღვნიშნავ ყალბი ცნობების მიმწოდებელის გვარ-სახელს, ვინაიდან თვითონაც გრძნობენ ალბათ თავის დანაშაულს. მაგრამ საჭიროა მაინც აღნიშნოს ეს მოვლენა და ჩვენი სამხკორები, განსაკუთრებით ამ ასპარეზზე ახლად გამოსული ამხანაგები ერიდონ შეუმოწმებელი ცნობების მიწოდებას და რედაქციის შეცდომაში შეყვანას. უნდა ვიმედოვნოთ რომ ჩვენი ლეგიონის სამხკორები ამ დიდ ნაკლს გამოასწორებენ.

სამხკორი ა. ჭკადუა.

# ქრონიკა.

ბამბის ქარხანა. საქ. სამამბო კომიტეტი დიდუბეში აგებს ბამბის ქარხანას.

კოოპერაცია. მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მალაკნების ქუჩაზე გახსნა 3 მაღაზია.

მშენებლობა. კომუნალურმა ბანკმა მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გასცა სესხათ 175 ათასი მანეთი.

სახლების აგება. მიმდინარე წელს საბინაო კოოპერაციას განზრახული აქვს დახარჯოს ტფილისში სახლების ასაგებათ 800 ათასი მანეთი.

საქონლის გატანა. საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში ა.-კავკასიიდან საზღვარ გარეთ გატანილი იქნა 3.120.000 მანეთის საქონელი.

მატყლის დამზადება. წარმოკავშირმა გასულ წელს დაამზადა 30.665 ფუთი მატყლი.

## ვინ იქნება შემდეგი?

გურჯაანის წერტის წვევამდელები—7 კაცი ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს“ თითო თვით და ვიწვევთ გამოიწერონ აღნიშნული გაზეთი მაჩხაანის წერტის წვევამდელებს.

იმედია გამოკვეხმაურებიან ამხანაგები და ხელს შეუწყობენ ჩვენი გაზეთის გავრცელებას სოფლად.

## პასუხი შეკითხვებზე.

ქოპლატაძეს. ბინის ქირად თქვენ უნდა იხადოთ თითეულ კვ. არშინში რვა კაპიკი., საერთო ჯამს უნდა გამოაკლდეს 25 პროც. როგორც სამხედრო მსახური.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

### ტფილისის მაზრა.

ტფილისის მაზრაში მარტის 3-სა და 4-ში არჩევნები ჩატარდა შემდეგ თემებში:

სართიჭალის თემში აირჩიეს საბჭო 117 კაცის შემადგენლობით. მათში 10 კომუნისტია, 13 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

პრიუტის საბჭოში გავიდა 3 კომუნისტი, 2. კანდიდატი და 2 კომკავშირელი, სულ აირჩიეს 33 კაცი.

მანგლისის საბჭოში აირჩიეს 122 კაცი. აქედან 29 კომუნისტია, 12 კანდიდატი და 16 კომკავშირელი.

თიანეთის საბჭოში აირჩიეს 68 კაცი. მათში 14 კომუნისტია და 8 კომკავშირელი.

### გურია.

კოხნარის თემში აირჩიეს 30 წარმომადგენელი. აქედან 18 პარტიულია და 12 უპარტიო. მათში 4 ქალია.

საჭ მიასერის თემის საბჭოში გავიდა 7 კომუნისტი, 5 კანდიდატი და 1 კომკავშირელი. სულ 27 კაცი.

ხვარაბეთის საბჭოში გავიდა 11 კომუნისტი, 10 კ. პ. კანდიდატი და 3 კომკავშირელი. სულ 45 წარმომადგენელი, რომელთა შორის 4 ქალია.

დიდიჯანის სათემოს საბჭოში აირჩიეს 15 დეპუტატი.

მათში 3 კომუნისტი, 5 პარტიის კანდიდატი და 2 კომკავშირელი.

### გორის მაზრა.

ალის სათემო საბჭოში გავიდა 7 კომუნისტი, 7 პარტიის კანდიდატი და 5 კომკავშირელი. სულ კი—58 კაცი, რომელთა შორის [illegible] ქალია.

ამლევის საბჭოში აირჩიეს 52 კაცი. მათში 7 კომუნისტია, 3 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

საციხურის თემ საბჭოში აირჩიეს 42 წარმომადგენელი. მათში 2 კომუნისტია და [illegible] კომკავშირელი.

### სვანეთში.

კალის თემში საბჭოში აირჩიეს 5 წარმომადგენელი: ყველანი უპარტიოები არიან.

უშგულის თემში აირჩიეს 5 კაცი. ხუთივე უპარტიო.

### სიღნაღის მაზრა.

ბოდბეს თემში აირჩიეს 4[illegible] კაცი. მათში 9 კომუნისტი, 2 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

ველისციხის საბჭოში აირჩიეს 63 წარმომადგენელი. მათში 11 კომუნისტი, 5 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

ახაშენის თემში აირჩიეს 5[illegible] კაცი. მათში 15 კომუნისტი და 7 კომკავშირელი.

ჭალისხევლს. თუ 1 დეკემბრამდი 1925 წ. ღებულობდი სათადარიგო ულუფას მაშინ გერგებათ. (ბრ №30-26 წ.)

ვაჩეიშვილს. წ. ა. ერგებათ სადილი ორი თავის განავახშამი.

თვალავაძეს. შეგიძლიათ სკოლაში გადასვლა.

სულთრისპირელს. არა. უნდა ჩააბაროთ სადივიზიო კომისიაში გამოცდები.

ი. ევტუხოვს. მიმართეთ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიღებ კომისიას.

ა. მასხარაშვილს. შეცდომა არ არის. კანონიერია. შუამდგომლობაზე გამოიწვევენ ერთი თვით.

ძაგნიძეს. ერთი წლიწადის სამსახური აუცილებელია.

კ—ს. სათადარიგო ულუფა არ გეძლევათ. (ბრ. №30—26 წ.)

ბოგელიას. თქვენ უნდა იმსახუროთ სამი წელი, როგორც სამჭედლო კურს დამთავრებულმა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტკანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. შალვა მიდელაშვილს (უპარტიო ათეულის მეთაური ქალ. გორის მცხ.) თუ ვინმეს, რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2-რე ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

მეორე ასეულის კომუჯრედის პ/მ. მდივანი სიხარულიძე.

## კომუნარების ბაღი

თბილისის აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილება შეუდგა კომუნარების ბაღის (ყოფ. ალექსანდრეს) გაშენება—გამშვენიერებას.

4 მარტიდან ბაღი დაიკეტა საზოგადოებისათვის და დაწყებულია სხვა და სხვა სამუშაოები. ბაღი ხელახლა იქნება დაგეგმილი. ძველი ხეები და სხვა უვარგისათ გამხმარი მცენარეები მოთხრილ იქნება და მათ მაგიერ დარგავენ ახალ მცენარეებს.

ბაღში შეკეთებულ იქნება აგრეთვე ყველა აუზები და აამოქმედებენ ყველა შადრევანებს..

ახალი გეგმის თანახმად ბაღში მოაწყობენ ბავშთა სათამაშო მოედნებს, საორკესტრო კარავს და ააგებენ აგრეთვე საზაფხულო ბიბლიოთეკას.

ბაღის გადასაკეთებლათ გადადებულია 13.000 მანეთი და მისი ხელახლა გახსნა საზოგადოებისათვის განზრახულია მაისის დღესასწაულებისათვის.

დ.